



ენერგოდაიჯესტი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ანალიტიკური დეპარტამენტი



17.03.2014

№ 10

სარჩევი

საქართველო.....	3
2014 წლის თებერვლის თვის ანგარიშსწორების მაჩვენებლები	3
ნახევარზე მეტი ბენზინი საქართველოში რუმინეთიდან შემოდის.....	4
რეგიონი	5
ჩეხური ენერგოგიგანტი თურქეთის ბაზრით ინტერესდება	5
SOCAR-ი მცირე ავტომატიზებული გაზგასამართი სადგურების მშენებლობის შესაძლებლობებს სწავლობს	6
თურქეთი ერაყის ნავთობს მსოფლიოს მიაწვდის.....	7
რუსეთის ფედერაცია და დ.ს.თ-ის ქვეყნები.....	8
Rosneft-ი ციმბირის ნავთობსაბადოს გავნითარებისთვის 83 მლრდ. აშშ დოლარს დახარჯავს	8
ყაზახეთი Kashagan Group-ს 737 მლნ. აშშ. დოლარით აჯარიმებს.....	9
რუსეთს ყირიმის ნავთობისა და გაზის მარაგებზე თვალი უჭირავს.....	10
ევროკავშირი	11
ოფშორული განახლებადების პროექტებმა დიდ ბრიტანეთს შესაძლოა 6.7 მლრდ. ფუნტი შემატოს	11
პოლონეთის მთავრობამ ფიქალის გაზის მოპოვებისა და რუსეთზე დამოკიდებულების შეზღუდვის მხარდამჭერი კანონპროექტი შეიმუშავა.....	12
ევროპისთვის ბუნებრივი აირის მიმწოდებელი გაზსადენების 16% უკრაინაზე გადის .	13
მსოფლიო.....	14
პაკისტანი 3 ატომურ ელექტროსადურს ააშენებს	14
დედამიწის ინფრაწითელი გამოსხივება - ახალი განახლებადი ენერგია?!.....	15
ამერიკამ ნავთობის სტრატეგიული მარაგი გახსნა	16
ანალიტიკა	17
წიაღისეული საწვავის სუბსიდია განახლებადი ენერჯის დაფინანსებას ამცირებს.....	17

2014 წლის თებერვლის თვის ანგარიშსწორების მაჩვენებლები

2014 წლის თებერვლის თვეში ესკო-ს მემწეობით შესყიდულმა (გაყიდულმა) საბალანსო ელექტროენერჯის რაოდენობამ 92 561 614.4 კვტ.სთ შეადგინა, რაც აღნიშნულ თვეში ქსელში მთლიანი მიწოდების 10.7%-ს წარმოადგენს. საბალანსო ელექტროენერჯის ღირებულებამ 10 456 157.3 ლარი შეადგინა.

თებერვალში საბალანსო ელექტროენერჯის საშუალო შეწონილი ფასი ერთ კილოვატ საათზე 11.2964292 თეთრი დაფიქსირდა. დერეგულირებული ელექტროსადგურების საბალანსო ელექტროენერჯის ფასმა კი 7.492 თეთრი/კვტ.სთ შეადგინა.



თებერვლის თვეში ესკომ განახორციელა ელექტროენერჯის იმპორტი რუსეთის ფედერაციიდან. მომწოდებლების წილობრივი მაჩვენებლები საბალანსო ელექტროენერჯის მთლიან მოცულობაში ასეთია: ჰიდროელექტროსადგურები – 6.87%, იმპორტი – 93.13%.

2014 წლის თებერვალში ესკო-დან საბალანსო ელექტროენერჯის შესყიდვა განახორციელეს გამანაწილებელმა ენერჯოკომპანიებმა და პირდაპირმა მომხმარებლებმა. მათი წილობრივი მონაწილეობა საბალანსო ელექტროენერჯის შესყიდვაში, შესაბამისად, 80.56%-სა და 19.44%-ს შეადგენს.

თებერვლის თვეში გარანტირებული სიმძლავრის სამივე წყაროს მიერ ფაქტობრივად უზრუნველყოფილი გარანტირებული სიმძლავრის მთლიანი ღირებულება იყო 3 479 394 ლარი, ხოლო გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმოების მიერ ყოველ მოხმარებულ კილოვატ საათზე გადახდილმა გარანტირებული სიმძლავრის საფასურმა 0.51817679 თეთრი შეადგინა.¹

¹ http://esco.ge/index.php?article_id=133&clang=0

ნახევარზე მეტი ბენზინი საქართველოში რუმინეთიდან შემოდის

თებერვალში წინა თვესთან შედარებით, ნავთობპროდუქტების იმპორტი 43%-ით გაიზარდა და 68.2 ათას ტონას მიაღწია. აქედან, ბენზინის მოცულობამ 30.2 ათასი ტონა, ხოლო დიზელმა კი - 38.0 ათასი ტონა შეადგინა.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირში აცხადებენ, რომ იმპორტის მოცულობა, სეზონიდან გამომდინარე, თავის საშუალო მაჩვენებელს ინარჩუნებს. „იანვრის თვე ყოველთვის გამოირჩევა იმპორტის დაბალი მაჩვენებლით, ვინაიდან ეს არის დღესასწაულებისა და დასვენებების პერიოდი, როდესაც ნაკლები აქტიურობაა. გარდა ამისა, დეკემბერში ხდება შედარებით დიდი მოცულობის იმპორტის

განხორციელება მარაგების შექმნის მიზნით. გაზაფხულის დადგომიდან კი პერმანენტულად ხდება საწვავის იმპორტისა და შესაბამისად, მისი მოხმარების ზრდა,“ - აცხადებენ იმპორტიორთა კავშირში.

ორი თვის განმავლობაში საქართველოში ნავთობპროდუქტების იმპორტმა 107.4 ათასი ტონა შეადგინა. მათ შორის, ბენზინის საწვავის იმპორტი 51.4 ათასი ტონა, ხოლო დიზელის საწვავის იმპორტი - 56.0 ათასი ტონა იყო.

2014 წელს ყველაზე დიდი მოცულობით ბენზინი და დიზელის საწვავი რუმინეთიდან შემოვიდა - 42.6 ათასი ტონა, რაც მთელი იმპორტის 39.7 %-ს შეადგენს (ბენზინის 56%, დიზელის - 24%). შემდეგ მოდის აზერბაიჯანი - 23.7 ათასი ტონით (თუმცა, ამ ქვეყნიდან ბენზინის მიწოდება თითქმის შეწყდა და მთლიანად დიზელზე გადაერთო, ანუ, 22.7 ათასი ტონით განისაზღვრა), მესამე ადგილზე იმპორტის სიდიდით ბულგარეთია - 19.5 ათასი ტონა (მათ შორის, ბენზინი 16.6 ათას ტონას შეადგენს);

საბერძნეთიდან ორ თვეში 8.1 ათასი ტონა საწვავი შემოიტანეს, რუსეთიდან - 8.07 ათასი ტონა (მხოლოდ დიზელი), ხოლო თურქმენეთიდან - 5.4 ათასი ტონა (მხოლოდ დიზელის საწვავი).²

² <http://www.bpn.ge/biznesi/3359-nakhevarze-meti-benzini-saqarthveloshi-ruminethidan-shemodis.html?lang=ka-GE>

ჩეხური ენერგოგიგანტი თურქეთის ბაზრით ინტერესდება

იმპორტზე ძლიერი დამოკიდებულებისა და მისი ადგილობრივი წარმოებით ჩანაცვლების მცდელობის გამო, თურქეთის ენერგეტიკული ბაზარი ინვესტორებისთვის ძალიან მიმზიდველია.

თურქეთის ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანოს (EMRA) ცნობით, ჩეხეთის ენერგეტიკული გიგანტი Energetický A Průmyslový Holding-ი თურქეთში ქვანახშირისა და ნარჩენებისგან ელ.ენერგიის წარმოების სფეროში ინვესტირებას გეგმავს.



ENERGETICKÝ A PRŮMYSLOVÝ HOLDING

კომპანიის ხელმძღვანელობამ, მათ შორის ევროსაბჭოს ყოფილმა პრეზიდენტმა და ჩეხეთის რესპუბლიკის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა მირეკ ტოპოლანეკმა თურქეთის ენერგეტიკული ბაზრის მარეგულირებელი ორგანოს მმართველ მუსტაფა ილდიზთან ერთად ქვეყნის ენერგეტიკული სტრუქტურა და შესაძლებლობები განიხილა.

ჩეხური ენერგოგიგანტი წლიურად 20 მლნ. ტონა ქვანახშირს მოიპოვებს და 37 მლრდ. კვტ.სთ ელ.ენერგიას აწარმოებს, ასევე, 57 მლრდ. კუბ. მ ბუნებრივ აირს აწვდის ევროპის ბაზარს. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ კომპანიას წელიწადში 3.5 მლრდ. კუბ.მ ბუნებრივი აირის საცავში შენახვის შესაძლებლობა აქვს. Energetický A Průmyslový Holding-ი ევროპაში რუსული ბუნებრივი აირის ერთ-ერთი ძირითადი გამანაწილებელი კომპანიაა და მჭიდროდ თანამშრომლობს გერმანიაში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, სლოვაკეთსა და პოლონეთში მოქმედ 40 კომპანიასთან.

კომპანიას, როგორც ელ.ენერგიის წარმოებისა და განაწილების სფეროში, ასევე ბუნებრივი აირის ოპერაციებში ინვესტირებაც სურს. ყველაზე მეტად კი ქვანახშირისა და ნარჩენებისგან ელ.ენერგიის წარმოებითა და ენერგეტიკული სექტორის პრივატიზების შესაძლებლობებით ინტერესდება.

„თურქეთის ენერგეტიკული ბაზარი დიდ შესაძლებლობებს სთავაზობს უცხოელ ინვესტორებს,“ - აცხადებს ტანერ ილდიზი და ამატებს, რომ სწორი გადაწყვეტილებებისთვის საჭიროა ინვესტორებმა ზუსტი ინფორმაცია თურქეთში, მიუკერძოებელი წყაროებისგან და არა ქვეყნის საზღვრებს გარეთ მიიღონ.

კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ თურქეთს ქვანახშირისა და ნარჩენების გამოყენებით ელ.ენერგიის წარმოების დიდი პოტენციალი გააჩნია, მაშინ

როდესაც ქვეყნის მუდმივად მზარდი ეკონომიკა უცხოურ ენერგომატარებლებზეა დამოკიდებული.³

SOCAR-ი მცირე ავტომატიზებული გაზგასამართი სადგურების მშენებლობის შესაძლებლობებს სწავლობს

აზერბაიჯანის სახელწიფო ენერგოკომპანია SOCAR-ი მცირე ავტომატიზებული გაზგასამართი სადგურების ბაჟში მშენებლობის შესაძლებლობებს სწავლობს.

კომპანიას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ, ნავთობპროდუქტების საცალო ბაზრების განვითარება სურს.

როგორც სააგენტო Trend-ს SOCAR-ში განუცხადეს, კომპანიაში 7-8 მცირე ავტომატიზებული სადგურის მშენებლობის საკითხს განიხილავენ, თუმცა ჯერჯერობით კონკრეტული პროექტი არ არსებობს და ყველაზე ოპტიმალური პროექტების ვარიანტებს იკვლევენ.

„ამ ეტაპზე ახალი გაზგასამართი სადგურებისთვის ადგილის შერჩევაზე ვმუშაობთ და სადგურებისთვის შესაბამისი ტექნიკისა და აღჭურვილობის შექმნისა და შეძენის ალტერნატიულ ვარიანტებს განვიხილავთ. ჩვენ პირველად ვაშენებთ მცირე ავტომატიზებულ გაზგასამართ



სადგურებს და შესაბამისად, ყველა ნიუანსს ვსწავლობთ. მშენებლობას 2014 წელს დავიწყებთ,“ - განაცხადა წყარომ და დაამატა, რომ შესაბამისი ტექნიკის მწარმოებელ იტალიურ კომპანიასთან მოლაპარაკებები უკვე გამართეს.

„მცირე ავტომატიზებული გაზგასამართი სადგურების მშენებლობას მთელი რიგი უპირატესობები გააჩნია. მათი განთავსება მიწის შედარებით მცირე ნაკვეთებზე ხდება და შესაბამისად, მშენებლობისა და აღჭურვილობის მონტაჟის ფასი, ტრადიციულ სადგურებთან შედარებით, საკმაოდ დაბალია. ასევე, ამ სადგურებიდან საწვავის გაცემა ოპერატორებს არ საჭიროებს და ავტომობილის საწვავით შევსება და საფასურის გადახდა ავტომატურად ხდება, რაც საბოლოო ჯამში მომსახურებას უფრო სწრაფს ხდის, - აცხადებენ SOCAR-ში.

აზერბაიჯანული ენერგოგიგანტი ნავთობისა და გაზის საბადოებს შეისწავლის, მოიპოვებს, გადაამუშავებს ნავთობს, ბუნებრივ აირსა და კონდენსატს, ახდენს მათ

³ <http://www.worldbulletin.net/news/130383/czech-energy-giant-eyes-turkish-market>

ტრანსპორტირებასა და რეალიზაციას შიდა და მსოფლიო ბაზრებზე და აზერბაიჯანის მოსახლეობასა და ინდუსტრიულ სექტორს ბუნებრივი აირით ამარაგებს.

კომპანია გაზგასამართ სადგურებს ფლობს აზერბაიჯანში, საქართველოში, შვეიცარიასა და უკრაინაში და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აქვს წარმომადგენლობითი ოფისი.

SOCAR-ი აზერბაიჯანში 16 გაზგასამართ სადგურს ფლობს. 2 მათგანი ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში, ხოლო დანარჩენი ბაქოში მდებარეობს.⁴

თურქეთი ერაყის ნავთობს მსოფლიოს მიაწვდის

თურქული გაზეთი Sabah-ის ცნობით, თურქეთის ენერჯეტიკისა და ბუნებრივი



რესურსების მინისტრმა ტანერ ილდიზმა განაცხადა, რომ ქვეყანა ერაყულ ნავთობს მთლიანად მსოფლიო ბაზარს მიაწვდის.

„მსოფლიო ბაზრისთვის ერაყული ნავთობის მიწოდება დიდ წვლილს შეიტანს რეგიონის განვითარებაში,“ - აცხადებს ტანერ ილდიზი.

თუმცა ამ ინფორმაციის გავრცელებამდე ცოტა ხნით ადრე ერაყულმა მედიამ განაცხადა, რომ ერაყის ცენტრალური მთავრობა ქურთისტანის ავტონომიიდან ნავთობის ტრანსპორტირების იმ მარშრუტის შეცვლას აპირებდა, რომელიც თურქეთზე გადის. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ თურქეთმა ერაყის ცენტრალური ხელისუფლების თანხმობის გარეშე გააფორმა ქურთისტანის ავტონომიასთან ტრანსპორტირების ხელშეკრულება.

გარდა ამისა, ცნობილი გახდა, რომ ახალი მარშრუტი შეიძლება ყოფილიყო ერაყი-სირია-ლიბანი, ან ერაყი-იორდანია-ისრაელი. ტანერ ილდიზმა განაცხადა, რომ თუ ერაყი მსოფლიოსთვის ნავთობის მიწოდებას სირიის მეშვეობით გადაწყვეტდა, ამ გეგმის განხორციელებას, სირიაში არასტაბილური მდგომარეობის არსებობის გამო, ვერ შეძლებდა.

ილდიზის ცნობით, თურქეთი ჩრდილოეთ ერაყის ნავთობის ტრანსპორტირებისთვის ახალი ნავთობსადენისა და ტერმინალის აშენებასაც აპირებს.

ტერმინალის აშენება იუმურტალაკის სანაპირო რეგიონში, ადანას პროვინციაში იგეგმება. მას თურქული კომპანია Starpet-ი ააშენებს, რაც 120 მლნ. აშშ დოლარი დაუჯდება. იუმურტალაკის ნავთობტერმინალის მოცულობა 300 000 კუბ.მ იქნება.

⁴ http://www.azernews.az/oil_and_gas/64993.html

ამასთანავე, თურქეთის ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ამბობს, რომ ქურთისტანის ავტონომიიდან უკვე მიღებულ ნავთობს საცავში შეინახავს და ერავის ცენტრალური მთავრობის თანხმობის გარეშე ევროპის ბაზარს არ მიაწვდის.⁵

რუსეთის ფედერაცია და დ.ს.თ-ის ქვეყნები

Rosneft-ი ციმბირის ნავთობსაბადოს განვითარებისთვის 83 მლრდ. აშშ დოლარს დახარჯავს

რუსული ენერჯო გიგანტის Rosneft-ის განცხადებით, ციმბირის კრასნოიარსკის რეგიონში მომდევნო დეკადის განმავლობაში კომპანია ქვეყნისთვის სტრატეგიული „ვანკორის“ ნავთობისა და ბუნებრივი აირის საბადოს განვითარებისთვის 83 მლრდ. აშშ. დოლარის ოდენობის ინვესტიციას განახორციელებს. ვანკორის საბადო, რომლის ოპერირებაც 2009 წელს დაიწყო, მიჩნეულია ჩინეთში რუსეთის ენერჯის მზარდი



გაყიდვების უზრუნველყოფის ძირითად ქვაკუთხედად. დასავლეთ ციმბირის რეგიონში ნავთობის წარმოების შემცირების ფონზე, აღმოსავლეთ ციმბირის რეგიონში ვანკორისა და სხვა ნავთობ საბადოების განვითარება კრემლის ძირითადი ინსტრუმენტი გახდება ნავთობწარმოების გაფართოების კუთხით. აღნიშნული რეგიონის პოტენციალის აღმოჩენას ხელი შეუწყო 2011 წლის იანვარში „აღმოსავლეთ ციმბირი - წყნარი ოკეანის“ (ESPO) 3.018 მილი სიგრძის მილსადენის ექსპლუატაციაში გაშვებამ, რომელმაც

⁵ <http://en.trend.az/capital/energy/2251668.html>

აღმოსავლეთ ციმბირის ნედლი ნავთობის ნაკადს იაპონიის, ჩინეთისა და კორეისაკენ გზა გაუხსნა.

ოპერირების პირველ წელიწადს ESPO დღიურად 400 000 ბარელს ატარებდა. ESPO-ს მილსადენი იაკუტია-ხაზაროვსკი-ვლადივასტოკის გაზსადენის პარალელურია. ეს უკანასკნელი ამჟამად მშენებლობის პროცესშია და 2016 წელს დასრულდება.


დასავლეთ ციმბირის საბადოს განვითარების დამატებითი მოტივატორი გადასახადების შემცირება და ESPO-ს გაშვების შედეგად ექსპორტზე ბაჟის მოხსნა გახდა. „ვანკორის“ საბადო, რომელიც არქტიკული სარტყლის ჩრდილოეთით მდებარეობს, ბოლო 3 დეკადის განმავლობაში რუსეთის ყველაზე დიდი აღმოჩენა გახდა და დამოუკიდებელი აუდიტორების შეფასების მიხედვით, მისი მარაგები 1.6 მლრდ. ბარელია. 2013 წელს საბადოს წარმოება დღეში 430 000 ბარელი იყო, რომლის გაზრდასაც Rosneft-ი პროგნოზირებს.

Rosneft-ის ვიცე-პრეზიდენტის სვიატოსლავ სლავინსკის ცნობით, ვანკორის საბადო ნავთობისა და გაზის მარაგებს მოიცავს, რომელსაც 2025 წლამდე წლიურად 55 მლნ.ტ. ნავთობის წარმოება შეუძლია.

2013 წელს Rosneft-ის წმინდა მოგებამ 15 მლრდ. აშშ. დოლარზე მეტი შეადგინა, რაც 2012 წლის მაჩვენებელს 51%-ით აღემატება.⁶

ყაზახეთი Kashagan Group-ს 737 მლნ. აშშ. დოლარით აჯარიმებს

ყაზახეთის მთავრობა საერთაშორისო კონსორციუმ North Caspian Operating Co-ს (NCOOC), რომელიც კასპიის ზღვის ჩრდილოეთში ყაშადანის ნავთობსაბადოს ავითარებს,



737 მლნ. აშშ. დოლარის ფინანსურ სანქციებს აკისრებს. ყაზახეთის გარემოსა და წყლის რესურსების სამინისტრომ ბიზნეს ჯგუფის დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილება გასულ კვირას მიიღო. სამინისტრო კომპანიას გაზის წვის შედეგად გარემოს დაბინძურებაში ადანაშაულებს.

სამინისტროს განცხადებით, დარღვევები ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომაზე აღმოაჩინეს. საბადომ ოპერირება სექტემბერში დაიწყო და უკვე ნოემბერში გაზსადენებიდან ბუნებრივი აირის გამოდინების ფაქტები დაფიქსირდა. NCOOC-ს საწარმოო დანადგარებში 2.8 მლრდ.კუბ.მ. გაზი დაიწვა, რაც კანონით გათვალისწინებულ

⁶ <http://oilprice.com/Energy/Energy-General/Rosneft-to-Spend-83-Billion-to-Develop-Siberian-Oil-Field.html>

ლიმიტს აჭარბებს და გარემოს აბინძურებს. სამინისტროს განცხადებაზე საპასუხოდ NCOC-ს წარმომადგენლების ცნობით, კომპანიამ უკვე მიიღო გარემოზე მიყენებული ზიანის შესახებ სრული ინფორმაცია.

ზოგიერთი მედია საშუალებების მიხედვით, ყაზახეთი ამ ჯარიმებს იმისათვის იყენებს, რომ მის ტერიტორიაზე მიმდინარე პროექტებში უფრო დიდი წილი შეინარჩუნოს. ყაზახეთის სახელმწიფო ნავთობისა და გაზის კომპანია KazMunaiGaz-ი უკვე ფლობს (KMG) NCOC-ის წილს, თუმცა ამის მიუხედავად, კონსორციუმსა და ოფიციალურ ასტანას შორის ურთიერთობა ყოველთვის დაბალანსებული როდია, რადგან ყაშადანის პროექტი წლებით ჩამორჩება გრაფიკს. კონსორციუმის ჩავარდნები გახდა მთავრობასთან ურთიერთობის გაცეების მიზეზი.

პრემიერის მრჩევლის ფადი ფარას განცხადებით, ამ დაგვიანებებმა მშპ-ს ზრდაზე გავლენა მოახდინა. წარმოების დაწყებასთან დაკავშირებით NCOC-ის წინაშე წარმოქმნილმა სიძნელებებმა ყაზახეთის მშპ 2-3%-ით შეამცირა. პრემიერ ახმეტოვის თქმით, მან ზუსტად არ იცის თუ როდის განახლდება წარმოება, თუმცა მან მკაცრად გააფრთხილა კონსორციუმი, რომ აღნიშნული პროცესი მიმდინარე წლის მეორე ნახევარში დაიწყოს.

ბევრი ანალიტიკოსის აზრით, ყაშადანის საბადო დიდი მოცულობით წარმოებას 2015 წელს დაწყებს.

ყაშადანის პროექტის აქციონერებს წარმოადგენენ: ExxonMobil-ი, Royal Dutch Shell-ი, Total-ი, Eni, China National Petroleum Corp.-ი (CNPC), Inpex-ი და KMG. პარტნიორები იმედოვნებენ, რომ საბადოდან 9-13 მლრდ. ბარელი ნედლი ნავთობის მოპოვებას შეძლებენ.⁷

რუსეთს ყირიმის ნავთობისა და გაზის მარაგებზე თვალი უჭირავს

ყირიმში მიმდინარე პოლიტიკურმა გაურკვევლობამ უკრაინის ამბიციებს ნავთობისა და გაზის ოპერაციებთან დაკავშირებით გზა გადაუკეტა. უკრაინა ახლოს იყო საერთაშორისო ნავთობ-კონსორციუმთან მოლაპარაკებების დასრულებასთან, რომელიც ქვეყნის ოფშორულ საბადოებში 735 მლნ. აშშ. დოლარის ინვესტირებას გეგმავდა. კონსორციუმის წამყვანი კომპანია უმსხვილესი ნავთობ-კორპორაცია ExxonMobil-ია. კონსორციუმის წილს ფლობენ ასევე Shell-ი, რუმინული OMV Petrom-ი და უკრაინის Nadra Ukrainy. ინვესტორების ძირითად ინტერესს წარმოადგენდა შავი ზღვის „სკიფკას“

⁷ NewsBase FSU, Oil&Gas Monitor, Issue 773, 12 March 2014, Kazakhstan imposes fine of US\$737 million on Kashagan group

საბადო, რომლის ბუნებრივი აირის რეზერვები 200-250 მლრდ.კუბ.მ-ად არის შეფასებული. თუკი საბადოს ათვისება და ექსპლუატაციაში გაშვება მოხდება, სავარაუდოდ წლიური მოპოვება 5 მლრდ.კუბ.მ. იქნება. აღნიშნულ სალიცენზიო ბლოკზე Exxon-მა უფრო მეტი ფასი დააფიქსირა ტენდერის დროს, ვიდრე რუსულმა Lukoil-მა.

მას შემდეგ, რაც ქვეყნის პრეზიდენტი იანუკოვიჩი გაიქცა, Exxon-მა ამ მიმართულებით წარმოებული პროცესები შეაჩერა.

Exxon-ის მოსაზრებით, „სკიფკას“ საბადოს არანაირი მომავალი არ ექნება, თუ რუსეთმა უკრაინის აქტივები ჩაიგდო ხელში. ყირიმის პარლამენტის სპიკერმა 13 მარტს გააკეთა განცხადება, რომ ყირიმის ნავთობსაბადოებზე კონტროლი მოსკოვმა უნდა იკისროს. უკრაინის ახალ მთავრობას შესაძლოა ვეღარ ჰქონდეს არსებულ სიტუაციაზე გავლენა, თუ ყირიმის მთავრობა კომპანია Chornomorneftegaz-ისა და მისი აქტივების ნაციონალიზაციას მოახდენს. ამ დრომდე უკრაინა ოპტიმისტურად უყურებდა ოფშორული ნავთობისა და გაზის რეზერვების განვითარების გეგმას, თუმცა რეფერენდუმის შემდეგ აღნიშნული რეზერვები შესაძლოა უეცრად ყირიმის (ან რუსეთის) ტერიტორიაზე აღმოჩნდეს.⁸

ევროკავშირი

ოფშორული განახლებადების პროექტებმა დიდ ბრიტანეთს შესაძლოა 6.7 მლრდ. ფუნტი შემატოს



ოფშორულმა განახლებადმა ენერჯამ 2020 წლისათვის გაერთიანებული სამეფოსთვის შესაძლოა 6 მლრდ. ფუნტზე მეტი შემოსავალი და 150 000 სამუშაო ადგილი შექმნას. ეს მაჩვენებლები ასოციაცია BVG-სა და Fraser of Allander Institute-ის მონაცემების მიხედვით ჩატარებულ კვლევას ემყარება, რომელიც ბრიტანეთის ქარისა და ზღვის ენერჯო პროექტების 6 წლიანი პესიმისტური და ოპტიმისტური სცენარების მიხედვითაა შედგენილი.

ოპტიმისტური სცენარის მიხედვით, ქვეყნის ეკონომიკაში დამატებით 15 გვტ. სიმძლავრე, 6.7 მლრდ. ფუნტი შემოსავალი და

⁸ <http://oilprice.com/Energy/Energy-General/Russia-Eyes-Crimeas-Oil-and-Gas-Reserves.html>

მთლიანობაში 150 000 სამუშაო ადგილი შეიქმნება, მაშინ, როცა პესიმისტური სცენარი დამატებით 8 გვტ. სიმძლავრესა და 2.3 მლრდ. ფუნტს ითვალისწინებს. ამ უკანასკნელი სცენარის მიხედვით, რომელიც თავის მხრივ ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტის ენერგო ბაზრის რეფორმის გეგმას ემყარება, შესაძლებელი იქნება ჯამში 50 000 ახალი სამუშაო ადგილის შექმნა.

მოხსენებაში ნათქვამია, რომ კონკურენტული ოფშორული განახლებადი ენერჯის ინდუსტრიის განვითარებითა და სტრატეგიულად მნიშვნელოვან ტექნოლოგიებსა და ბაზრებში ინვესტირებით დიდი ბრიტანეთი დიდ სარგებელს მიიღებს, რაც გაზრდის ეკონომიკის დივერსიფიკაციასა და საერთაშორისო ვაჭრობას, რაც ქვეყანას ეკონომიკური თვალსაზრისით კიდევ უფრო კონკურენტუნარიანს გახდის.

აღნიშნული მოხსენება გამოაქვეყნა ინდუსტრიული სექტორის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა კომპანია Offshore Renewable Energy Catapult-მა, რომელიც ქარისა და ზღვის ენერჯის პროექტების კომერციალიზაციის გაუმჯობესებაზე მუშაობს.⁹

პოლონეთის მთავრობამ ფიქალის გაზის მოპოვებისა და რუსეთზე დამოკიდებულების შეზღუდვის მხარდამჭერი კანონპროექტი შეიმუშავა

„პოლონეთის მთავრობამ ახალი კანონპროექტი მიიღო, რომელიც ფიქალის გაზის მოპოვებას დააჩქარებს და რუსულ მოწოდებაზე დამოკიდებულებას შეამცირებს“ - განაცხადა პოლონეთის პრემიერ მინისტრმა. პოლონეთი, რომელიც ბუნებრივი აირის 70%-ის იმპორტს რუსეთიდან ახორციელებს, საკუთარი ფიქალის გაზის მარაგების ექსპლუატაციას ცდილობს, მაგრამ რთული საკანონმდებლო ბაზა გარკვეულ წინაღობებს ქმნის, რაც უცხოურ ენერგეტიკულ ფირმებს ინვესტირებაზე თავის შეკავებისკენ უბიძგებს. დონალდ ტუსკის განცხადებით, უკრაინის კონფლიქტმა აღნიშნული კანონის მნიშვნელობას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი და ეს პროცესი სწრაფი ტემპით უნდა წავიდეს წინ, რომელმაც შესაძლოა შედეგი მიმდინარე წელსვე გამოიღოს.

ტუსკის თქმით, კანონპროექტი კომპანიებისთვის სალიცენზიო პროცედურებს გაადვილებს და დააჩქარებს. მოპოვებაზე გადასახადები 2020 წლიდან ამოქმედდება და 40%-ს არ გადააჭარბებს. გასულ პერიოდში, მკაცრი სალიცენზიო პირობებისა და მარაგების შესახებ საკმარისი ინფორმაციის არარსებობის გამო, მრავალმა საერთაშორისო კომპანიამ უარი თქვა პოლონეთის ფიქალის გაზის ინდუსტრიაში მონაწილეობაზე. ქვეყნის გეოლოგიური პირობების გამო, პოლონეთში ფიქალის გაზის მოპოვება უფრო

⁹ <http://www.energyvoice.com/2014/03/offshore-renewable-projects-generate-6-7bn-uk-economy-claims-new-study/>

მეტად ტექნოლოგია-ტევადია ვიდრე აშშ-ში, სადაც ფიქალის გაზის ბუმი 90-იან წლებში იყო, რამაც გაზის ფასების შემცირება გამოიწვია.

აშშ-ს ენერჯეტიკის საინფორმაციო ადმინისტრაციის მიერ აღწერილი გაკეთებული გამოკვლევა, სადაც პოლონეთის ფიქალის გაზის მარაგები 5.3 ტრილიონ კუბ.მ-ად იყო შეფასებული, პოლონეთის გეოლოგიის ექსპერტებმა შეასწორეს და საბოლოო ინფორმაციით ეს მაჩვენებელი 800 მლრდ.კუბ.მ-ად შეფასდა.¹⁰

ევროპისთვის ბუნებრივი აირის მიმწოდებელი გაზსადენების 16% უკრაინაზე გადის

ევროპამ, ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა და ნორვეგიამ, შვეიცარიამ, თურქეთმა და ასევე ევროკავშირის არაწევრმა ბალკანეთის სახელმწიფოებმა 2013 წელს 529.5 მლრდ.კუბ.მ. ბუნებრივი აირი მოიხმარეს. რუსეთმა ამ მოცულობის 30% მიაწოდა (161.4 მლრდ.კუბ.მ.), რისმა დიდმა ნაწილმაც უკრაინის ტერიტორია გაიარა. საერთაშორისო ენერჯეტიკული სააგენტოს (EIA) გამოთვლებით, უკრაინის ტერიტორიაზე არსებული გაზსადენების გავლით ევროპას მთლიანი მოხმარებული ბუნებრივი აირის 16% (84.9 მლრდ.კუბ.მ.) მიეწოდა.



რუსული გაზი ევროპას უკრაინის გავლით ორი მთავარი გაზსადენით მიეწოდება. ესენია: „ბრატსვო“ (ძმობა) და „საიუზი“ (ერთობა). პირველი მთავარი რუსეთის უდიდესი გაზსადენია ევროპაში. ის გადაჭიმულია სლოვაკეთამდე, შემდეგ კი ორ ნაწილად იყოფა და ამარაგებს სამხრეთ და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებს. მეორე გაზსადენი „საიუზი“ კი აკავშირებს რუსეთის ცენტრალური აზიის გაზსადენებს და დამატებით მოცულობებს აწვდის ცენტრალურ და ჩრდილოეთ ევროპას. უკრაინის ტერიტორიაზე გადის ასევე მესამე მთავარი ტრანს-ბალკანური გაზსადენი, რომელიც რუსულ გაზს ბალკანეთის ქვეყნებსა და თურქეთს აწვდის.

წარსულში ევროპაში რუსული გაზის 80% უკრაინის გავლით გადიოდა. ეს ციფრი 50-60%-მდე შემცირდა, მას შემდეგ რაც 2011 წელს ექსპლუატაციაში შევიდა ჩრდილოეთის ნაკადის გაზსადენი, რომელის რუსეთს გერმანიასთან აკავშირებს ბალტიის ზღვის გავლით.

¹⁰ <http://www.hellenicshippingnews.com/News.aspx?ElementId=506ea849-209b-4e9d-980c-a15adad0d101>

ბუნებრივი აირის ნაკადები უკრაინაში იცვლება სეზონების მიხედვით. ზამთარში დღეში 340 მლნ.კუბ.მ-დან 170 მილიონამდე ზაფხულში.¹¹

მსოფლიო

პაკისტანი 3 ატომურ ელექტროსადგურს ააშენებს

პაკისტანი 2030 წლისთვის სამი ატომური ელექტროსადგურის (აეს) მშენებლობას გეგმავს, რომელთა დადგმული სიმძლავრე ჯამში 8 800 მეგავატი იქნება. პაკისტანს ატომური სადგურები ელექტროენერჯის შეფერხებებით მიწოდების აღმოფხვრაში დაეხმარება. 2030 წლამდე ატომური ენერჯის გაზრდა 8 800 მგვტ-ით იგეგმება, ხოლო 2050 წლამდე - 40 000 მგვტ-მდე. ამის შესახებ პაკისტანის ატომური ენერჯის კომისიის თავჯდომარემ განაცხადა. მან ასევე აღნიშნა, რომ მიუხედავად მაღალი სიმძლავრეებისა, პაკისტანს მაინც 15%-იანი დეფიციტი ექნება ელექტროენერჯით მომარაგებაში.



პაკისტანმა ახალი K-2 აეს-ის მშენებლობა არაბეთის ზღვის სანაპიროს მახლობლად დაიწყო. ასევე უახლოეს მომავალში ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში 2 ახალი სადგურის Chasma-1-სა და Chasma-2-ის მშენებლობა დაიწყება. ამჟამად ქვეყანაში ნაწარმოები ელ.ენერჯის მხოლოდ 5%-ია ატომური. ქვეყნის ელ.ენერჯის დეფიციტი კოლოსალურია და სოფლებში ხშირად ელ.ენერჯია დღე-ღამის განმავლობაში 20 საათზე მეტი ხნით ითიშება.

პაკისტანი 2030 წლისთვის დამატებით 162 000 მგვტ.სთ.-ის წარმოებას აპირებს, რაც ძირითადად ატომური ენერჯის ხარჯზე მოხდება.

ატომური ენერჯის კომისიაში აცხადებენ, რომ პაკისტანში ატომური ენერჯის უსაფრთხოებას მაქსიმალურ ყურადღებას დაუთმობენ და აეს-ებზე უახლეს რეაქტორებს დაამონტაჟებენ. იაპონიის აეს-ის კატასტროფის მიუხედავად, მათ მიაჩნიათ, რომ ატომურ ენერჯიში დიდი პოტენციალია, რადგან ისეთი ქვეყნები, როგორც არის რუსეთი და საფრანგეთი აგრძელებენ დარგში ინვესტირებას.

¹¹ <http://energy.einnews.com/article/195349095/dItjTveW8jWKsAGi?n=2&code=GC3nUIJkIECsLFtE>

რაც შეეხება ატომურ ბომბს, პაკისტანში აცხადებენ, რომ მათ არ სჭირდებათ ატომური ბომბის გამოყენება და მომავალშიც უარს ამბობენ მის წარმოებაზე. პაკისტანმა ატომური ბომბების წარმატებული გამოცდა 1998 წელს ჩაატარა, რის შედეგადაც დასავლეთისა და ცივილიზებული სამყაროსგან იზოლაციაში მოექცა სანქციების გამო. ამჟამად პაკისტანში აცხადებენ, რომ ატომური ენერჯია მათ არასამხედრო მიზნებისთვის სჭირდებათ. პაკისტანმა ატომური იარაღის შესაქმნელად ძალიან დიდი ფინანსური რესურსი დახარჯა, რითაც საგრძნობლად შეაფერხა საკუთარი ეკონომიკის განვითარება, მაგრამ ეს გამოწვეული იყო პაკისტანის მოწინააღმდეგე სახელმწიფოს - ინდოეთის მიერ ატომური იარაღის შექმნით.¹²


დედამიწის ინფრაწითელი გამოსხივება - ახალი განახლებადი ენერჯია?!

ჰარვარდის ინჟინერიისა და გამოყენებითი მეცნიერების (SEAS) ფიზიკოსებმა კონცეპტუალური მოწყობილობა შექმნეს, რომელსაც ენერჯიის წარმოება დედამიწის ბუნებრივი ინფრაწითელი გამოსხივებიდან შეუძლია.

დედამიწა განუწყვეტლივ გამოყოფს 100 მილიონი გიგავატი სიმძლავრის ინფრაწითელ სითბოს კოსმოსში და ამ ენერჯიას კაცობრიობის მოთხოვნის დაკმაყოფილება მრავალი ათასწლეულის განმავლობაში შეუძლია. ამჟამად ამ ენერჯიის მცირე ნაწილის ათვისებაც რომ მოხდეს, მსოფლიოს ენერჯიის პრობლემა გადაიჭრება. მზით გამთბარი დედამიწა უფრო თბილია, ვიდრე კოსმოსის ცივი ვაკუუმი. თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაყრდნობით მეცნიერები აცხადებენ, რომ ამ სითბური დისბალანსით მალე შესაძლებელი იქნება მუდმივი დენის მიღება.

ჰარვარდის უნივერსიტეტის მკვლევარებმა ორი მოწყობილობა შეიმუშავეს, რომელთა საშუალებითაც ელ.ენერჯია მიიღება.

პირველი მოწყობილობა გავს ფოტოვოლტანურ მზის პანელს, მაგრამ



ნაცვლად სინათლის შთანთქმისა, პანელი ელექტროენერჯიას ინფრაწითელი შუქის გამოსხივებით გამოიმუშავეს. მექანიზმი ორი პანელისგან შედგება: ერთი გრილი, მეორე კი ცხელი პანელია და მას დედამიწაზე არსებული ატმოსფერული ტემპერატურა ექნება.

¹² <http://en.haberler.com/pakistan-to-build-3-nuclear-plants-for-electricity-395457/>

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ამ ორ პანელს შორის არსებული ტემპერატურული სხვაობის შედეგად შესაძლებელია გენერირდეს ელექტროენერგია დღისა და ღამის განმავლობაში.

მეორე ხელსაწყო ტემპერატურული განსხვავებით ენერჯის საწარმოებლად, პანელების ნაცვლად, ნანოტექნოლოგიურ დიოდებს გამოიყენებს.

მკვლევარების განცხადებით, მათ ფიზიკისა და ნანოტექნოლოგიების გაერთიანებით სრულიად ახალი ტიპის ენერჯიას მიაგნეს. მათივე განცხადებით, რამდენიმე ათწლეულის წინ წარმოუდგენლად და პრაქტიკულად შეუძლებლად მიაჩნდათ ინფრაწითელი ენერჯიის გამოყენება. მეცნიერთა ჯგუფის მთავარი მკვლევარის, პროფესორი კარუსოს 2 დეკადის წინანდელი გამოგონება - ინფრაწითელი კვანტუმის კასკადური ლაზერი - ახალი ენერჯიის წყაროს საფუძველი გახდა.¹³

ამერიკამ ნავთობის სტრატეგიული მარაგი გახსნა

აშშ სტრატეგიული მარაგებიდან 5 მილიონ ტონა ნავთობს ყიდის.



მიმომხილველთა ნაწილი თვლის, რომ ამ ნაბიჯით, ვაშინგტონი მოსკოვს აჩვენებს რომ მსოფლიო ენერჯეტიკულ ბაზარზე გავლენის დიდი შესაძლებლობები გააჩნია.

როგორც ბრიტანული The Financial Times აღნიშნავს, ამერიკის მთავრობა ყიდის გოგირდის მაღალი შემცველობის ნავთობს.

სწორედ ამ ტიპის ნავთობის ექსპორტს ახორციელებს რუსეთიც.

აშშ-მა ნავთობის სტრატეგიული მარაგები ბოლო 25 წლის განმავლობაში პირველად გახსნა. მთელი მარაგის მოცულობა 700 მილიონ ტონას შეადგენს.

აშშ-ის ენერჯეტიკის სამინისტრო აღნიშნავს, რომ მარაგების გაყიდვა არ უკავშირდება უკრაინის მოვლენებს და ის რამდენიმე თვით ადრე იყო დაგეგმილი. ნავთობის გაყიდვის მიზანია ნედლეულის განაწილების სისტემის შემოწმება.

სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, აშშ ვალდებულია მსგავსი შემოწმება სისტემატურად განახორციელოს, თუმცა რეალურად საკონტროლო გაყიდვა ერაცთან 1990 წლის სამხედრო კონფლიქტის შემდეგ არ განხორციელებულა.

შეგახსენებთ, რომ ამერიკელი კონგრესმენები თეთრ სახლს სთავაზობენ შეამციროს უკრაინისა და ევროპის დამოკიდებულება რუსულ გაზზე და რეგიონში ამერიკული გაზის ექსპორტი დაიწყოს.

¹³ <http://oilprice.com/Energy/Energy-General/Earths-Infrared-Radiation-New-Renewable-Energy-Frontier.html>

„ფიქალის გაზის რევოლუციის“ წყალობით 2009 წელს ამერიკამ პირველად გაუსწრო რუსეთს ბუნებრივი აირის მოპოვებაში და ექსპორტზეც კი დაიწყო მუშაობა. „ფიქალის რევოლუციამ“ ამერიკის ნავთობბაზარიც შეცვალა. აშშ-მა ნავთობის მსხვილი ექსპორტი უკვე დაიწყო და პროგნოზებით, 2017 წლისათვის მსოფლიოს უმსხვილესი ნავთობმომპოვებელი გახდება.¹⁴

ანალიტიკა

წიაღისეული საწვავის სუბსიდია განახლებადი ენერჯის დაფინანსებას ამცირებს

მილიარდობით ევრო იხარჯება წიაღისეული საწვავის მომპოვებელთა სუბსიდირებისას, მაგრამ მაინც რამდენი?

საერთაშორისო ენერჯეტიკული სააგენტო (IEA) ამბობს, რომ სუბსიდიები წლიურად დაახლოებით 400 მილიარდ ევროს უტოლდება, მაგრამ საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ინფორმაციით, ეს ციფრი ტრილიონ ევრომდე ადის.



2009 წელს G20 სამიტზე პიტსბურგში წამყვანი ეკონომიკების ლიდერები შეთანხმდნენ, რომ გაზის, ნავთობისა და ნახშირის სუბსიდიები უნდა შემცირდეს მსოფლიო მასშტაბით. სამიტზე მიღებულ განცხადებაში წერია:

„წიაღისეული საწვავის არაეფექტიანი სუბსიდია ხელს უწყობს ფინანსების ფლანგვას, ართულებს ინვესტიციებს სუფთა ენერჯიაში და ძირს უთხრის მსოფლიოს ძალისხმევას გლობალურ დათბობასთან ბრძოლაში.“

¹⁴ <http://news.ge/ge/news/story/82841-amerikam-navtobis-strategiuli-maragi-gakhsna>

ხუთი წლის შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორებიც არიან მსოფლიო ბანკი, IMF-ი, IEA განაგრძობენ პრობლემის აფიშირებას. გამოთვლის მეთოდის განსხვავების გამო მსოფლიოს ჯამური სუბსიდიის მონაცემები 400 მილიარდიდან 2.6 ტრილიონ ევრომდე მერყეობს. IEA-ს მონაცემების მიხედვით, წიაღისეული საწვავის მოხმარება სუბსიდირებულია მსოფლიოს მრავალ წიაღისეულის მომპოვებელ ქვეყანაში. ისეთი ქვეყნები, როგორებიც არიან ირანი, საუდის არაბეთი, რუსეთი, ვენესუელა და ნიგერია, ელექტროგენერაციის, ტრანსპორტისა და სხვა სათბობი დანიშნულებით გამოყენების სფეროებში წიაღისეულის ფასებს ქვეყნის შიგნით საბაზრო ფასზე გაცილებით დაბლა აწესებენ.

IEA-ს მიხედვით მსოფლიო ნავთობისა და გაზის სუბსიდიების მეოთხედი იმპორტიორ ქვეყნებზე მოდის. იმის გამო, რომ ენერჯია ხელმისაწვდომი იყოს მოსახლეობისთვის, იმპორტირებული წიაღისეული საწვავი ხელოვნურად გაიაფებულია ისეთ ქვეყნებშიც, როგორიცაა: ინდოეთი, ჩინეთი და ინდონეზია.

ექსპერტებისა და ეკონომისტების გათვლებით, ერთი ტონა CO₂-ის გამოფრქვევის ხარჯი, საშუალოდ, 80 ევროა. შესაბამისად, კლიმატის ცვლილებისა და გარემოს დაბინძურების მსოფლიოს წლიური ხარჯი 2.7 მილიარდი ევროა. ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ეს ციფრი უფრო დიდია, რადგან გაანგარიშებებში არ არის გათვალისწინებული სუბსიდიები.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) მონიტორინგს უწევს სუბსიდიებს, გერმანიამ და ევროკავშირის სხვა ქვეყნებმა ბოლო წლებში სუბსიდიების რეკორდულ მაჩვენებლებს მიაღწიეს.

ეკონომისტები, სხვადასხვა დარგის მეცნიერები და ექსპერტები თანხმდებიან, რომ წიაღისეული საწვავის სუბსიდია არა მარტო აჩქარებს გლობალურ დათბობას, არამედ ხელს უშლის ჯანსაღ კონკურენციასაც. ისინი აღნიშნავენ, რომ თუ სხვადასხვა ტიპის ენერგომწარმოებლებს სუბსიდიების გარეშე შევადარებთ, განახლებადი ენერჯია ძალიან სწრაფად გადაუსწრებს წიაღისეულ საწვავს.

გერმანიის გარემოს სააგენტოს მიხედვით, 2010 წელს ქვეყანამ 52 მილიარდი ევრო დახარჯა წიაღისეული საწვავის სუბსიდიებში, რაც მთლიანად გერმანიის ბიუჯეტის მეექვსედია, მაშინ როცა განახლებადი ენერჯიების სუბსიდიაში მხოლოდ 10 მილიარდი ევრო დაიხარჯა.¹⁵

¹⁵ <http://en.haberler.com/fossil-fuel-subsidies-outstrip-renewables-funding-388346/>